]

# საქართველო
# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1439 1439-01-4-202007301717
30/07/2020

**„ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში ქცევის დროებითი წესის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 28 ივლისის N1424 ბრძანებაში ცვლილებისა დამატების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის N368 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში ქცევის დროებითი წესის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 28 ივლისის N1424 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა). ბრძანების მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „დ“ ქვეპუნქტი;

ბ). ბრძანების მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ვ“ ქვეპუნქტი; „ვ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური“.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე http://kutaisi.gov.ge/ და გაიკრას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობის საჯარო სივრცეში.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი